# საქართველო

## ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირისა და საქართველოს ხელისუფლებს მიმართ რეკომენდაციები

**2008 წლის ნოემბერი**

2008 წლის ნოემბერში დაგეგმილი ევროკავშირისა და საქართველოს თანამშრომლობის საბჭოს შეხვედრასთან დაკავშირებით FIDH და მისი პარტნიორები საქართველოში "ადამიანის უფლებათა ცენტრი" (HRIDC), "ადამიანის უფლებთა პრიორიტეტი" და "კავკასიის ქალთა ქსელი" აწყობენ შეხვედრას საქართველოში ადამიანის უფლებათა სფეროში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით.

2008 წლის აგვისტოს თვეში მომხდარი შეიარაღებული კონფლიქტი საერთაშორისო მედიის ყურადღების ქვეშ მოექცა. ჩვენი წევრი და პარტნიორი ორგანიზაციები აკვირდებოდნენ მიმდინარე პროცესებს და აშუქებდნენ საერთაშორისო სამართლით აღიარებული ნორმების დარღვევის ფაქტებს (მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ძალის გამოყენება, გაუმართლებელი მკვლელობები, წამებისა და გაუპატიურების ფაქტები, აკრძალული იარაღის გამოყენება, მარადიორობა, კერძო საკუთრების განადგურება, იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობა).

ევროკავშირისა და საქართველოს სამეზობლო საბჭოს პოლიტიკიდან გამომდინარე, ჩვენს ორგანიზაციას მიაჩნია, რომ კონფლიქტის მოგვარება არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ მასობრივად ირღვეოდეს ადამიანთა უფლებები საქართველოში. ეს შეხედულებები მკაფიოდ უნდა ჩანდეს საქართველოს ხელისუფლების მიმართ მომზადებულ ევროკავშირის დეკლარაციებში; ვინადიან ქვეყანას ვალდებულება აქვს, განახორციელოს ადამიანის უფლებათა სიტუაციის მონიტორინგი საქართველოში ევროპის სამოზებლო პოლიტიკის ფარგლებში.

ამ მოკლე შესავლით მოვუწოდებთ ევროკავშირს რეკომენდაციების მომზადებისას განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს შემდეგ საკითხებზე:

**-არჩევნები;**
**-მედიის კონტროლი;**
**-გადაჭარბებული ძალის გამოყენებით დემონსტრაციის თავისუფლების შეზღუდვა;**
**-საცხოვრებელი პირობები საპატიმროებში;**
**-პოლიტპატიმრები;**
**-ქალთა უფლებები**

<u>**არჩევნები**</u>

FIDH, HRIDC, "ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი" და "კავკასიის ქალთა ქსელი" შეშფოთებულები არიან ყველა იმ სირთულეებით, რაც საქართველოში სამართლიანი

და თავისუფალი არჩევნების ჩატარებისას წარმოიქმნება; მსგავსი ფაქტები დაფიქსირდა 2008 წლის მაისში საპარლამენტო არჩევნების დროს. არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიამ (IEOM) თავის საბოლოო დასკვნაში განაცხადა, რომ *„ყველაფრის მიუხედავად, ამ არჩევნებმა საქართველოს მოსახლეობას საშუალება მისცა, ამოერჩიათ სასურველი ადამიანი წარმოდგენილი უამრავი კანდიდატისაგან. ხელისუფლება და სხვა პოლიტიკური ორგანიზაციები ცდილობდნენ არჩევნები ევთოსა და ევრო საბჭოს მიერ შემუშავებული ნორმების ფარგლებში ჩატარებულიყო“. მაგრამ IEOM „თავის მოხსენებაში ჩამოთვალა მთელი რიგი პრობლემებისა, რომელმაც ზემოთ მოტანილი შეფასება არასრულფასოვანი გახადა“.*

საბოლოო დადებითი შეფასება, „რამოდენიმე პრობლემის“ არსებობის აღიარების მიუხედავად, არსებობს ევთოსა და სხვა დამოუკიდებელი ორგანიზაციების მიერ აღრიცხული გაყალბების უამრავი მაგალითი.

საქართველოში FIDH-ის წევრი ორგანიზაციების ინფორმაციით, ბოლო არჩევნების დროს ისეთი ძალადობა იყო გამოყენებული, რომ საწყის ეტაპზე დამკვირვებლები იძულებულები გახდნენ, საარჩევნო უბნები დაეტოვებინათ. საქართველოს მოქალაქეები განიცდიდნენ სერიოზულ ზეწოლას წინა საარჩევნო კამპანიის დროს. ხალხს ემუქრებოდნენ სამსახურიდან გაგდებით, დაპატიმრებით ან მუქარით, რომ მათ ოჯახის წევრებს პრობლემები შეექმნებოდათ.
ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს დაკვირვებოდნენ არჩევნების ყველაზე მნიშვნელოვან პროცესს - ხმების დათვლას, რადგან საარჩევნო უბნების უმეტეს ნაწილში უსაფრთხო სიტუაცია იყო. რამოდენიმე დამკვრივებელს, მათ შორის ნანა ფაჟავას (ზუგდიდი) და გელა მთივლიშვილს (კახეთში) ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და ფოტო-კამერები დაუმტვრიეს. არცერთი ფაქტი არ არის გამოძიებული.

FIDH-ის წევრი და პარტნიორი ორგანიზაციები განსაკუთრებით განიცდიან იმ ფაქტს, რომ საქართველოს მოსახლეობამ, ბოლო დროინდელი გაყალებებისა და ზეწოლის შემდეგ, საბოლოოდ დაკარგეს სხვადასხვა ორგანიზაციების მიმართ ნდობა. დემოკრატიული არჩევნებისა და სახელმწიფო ორგანოების პოლიტიკური მიუკერძოებლობის მიმართ უნდობლობამ სერიოზული ზეგავლენა მოახდინა ქვეყნის პოლიტიკური კურსის შეცვლაზე.

***ჩვენი ორგანიზაციები მიმართავენ საქართველოს ხელისუფლებას***:

- ევთოს, IEOM და ადგილობრივი დამოუკიდებელი დამკვირვებლების მიერ გამოვლენილი ფაქტებზე ჩაატარონ სწორი და დამოუკიდებელი გამოძიება;
- მიიღონ ყველა ზომა შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნებში მსგავსი პრობლემების თავიდან ასაცილებლად;

- დამოუკიდებელი, გამჭვირვალე და საფუძვლიანი საჩივრების მომზადება საარჩევნო კომისიებისა და საარჩევნო დარღვევების შესახებ;
- განხორციელდეს ეუთოს, ODHIR არჩევნების სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიშის რეკომენდაციები.

*ჩვენი ორგანიზაცია მიმართავს ევროკავშირს:*

- ყველა მექანიზმი გამოიყენოს, რათა საქართველომ შეასრულოს რეკომენდაციები და ამაში ხელი შეუწყონ საქართველოს ხელისუფლებას.
- მჭიდროდ ითანამშრომლონ ეუთოსთან ეუთო/ODHIR ანგარიშში ჩამოყალიბებული რეკომედნაციების შეფასებისას.

<u>კონტროლი მედიაზე</u>

FIDH, HRIDC, „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი“ და „კავკასიის ქალთა ქსელი“ უკიდურესად შეშფოთებულები არიან საქართველოში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვით. განსაკუთრებით დამაფიქრებელია გაზრდილი პოლიტიკურიზეწოლა დამუკიდებელ მედია საშუალებებზე და ჟურნალისტებზე განხორციელებული თავდასხმები. ამ მოსაზრებას იზიარებს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტიც, რომელმაც 2007 წლის ნოემბერში განაცხადა, *რომ „შეშფოთებულია საქართველოში ჟურნალისტების შეურაცხყოფის ფაქტებით, რაც ნორმალურად არ არის გამოძიებული.“*

2007 წლის 7 ნოემბერს ტელეკომპანია „იმედის“ დარბევა, დაშინება და მუქარა, რაც ადამიანებს და სამოქალაქო საზოგადოებას ხელს უშლის ისარგებლონ სიტყვის თავისუფლებით და პოლიტკურ პროცესებში მიიღონ მონაწილეობა. 7 ნოემბრის მერე ტელეკომპანიების, „იმედი“ და „კავკასიის“ მაუწყობლობის შეწყვეტა ჯერ კიდევ გამოსაძიებელია.

ტელეკომპანი „მაესტროს“ შეექმნა ცალკეული ადმინისტრაციული პრობლემები, როდესაც გადაწყვიტეს ანალიტიკური გადაცემების მომზადება. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ მაესტროს მაუწყებლობის ლიცენზია შეუწყდა და ამ საკითხს სასამართლო იხილავს.

შიდა ქართლის სამხარეო ხელისუფლების თანამშრომლებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს საბა წიწიკაშვილს, ადამიანის უფლებათა ცენტრის შიდა ქართლის ოფისის ჟურნალისტსა და კოორდინატორს. პირველად ჟურნალისტს სცემეს 1 სექტემბერს მოსახლეობის მიერ რუსეთის ოკუპაციის წინააღმდეგ მოწყობილი „საპროტესტო ჯაჭვის“ დროს გორის რაიონ სოფელ კარალეთში. შიდა ქართლის გუბერნატორი, ლადო ვარძელაშვილი და რაიონის გამგებლის მოადგილე ზურაბ ჩინჩილაკაშვილი ღიად გამოხატავდნენ უკმაყოფილებას საბა წიწიკაშვილის

საქმიანობის წინააღმდეგ და თვითმხილველთა თვალწინა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ჟურნალისტს. 12 სექტემბერს წიწიკაშვილს დაემუქრა გია დურგლიშვილი, ზედმეტი სახელით „კოხტა“, რომელმაც ის გააფრთხილა რომ თუ ჟურნალისტურ საქმიანობას არ შეწყვეტდა თვითონ და მის ოჯახს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდნენ.

***საქათველოს ხელისუფლებას ვთხოვთ:***

- განახორციელოს გაეროს “ადამიანის უფლებათა კომიტეტის” რეკომენდაციები და *„უზრუნველყოს სიტყვის, პრესის და სხვა მედია საშუალებების თავისუფლება*; *ასევე აღნიშნულ დარღვევებზე მომზადებული საჩივრების საფუძველზე, აღიძრას სისხლის სამართლის საქმე; დამნაშავეები კი დაისჯებიან;*
- პატივი სცეს იმ მოთხოვნებს, რაც ევრო კავშირსა და საქართველოს შორის დადებული სამოქმედო გეგმითაა გათვალიწინებული; *„ამის საფუძველზე, უზრუნველყონ მედიის თავისუფლება. სრულყოფილად განხორციელდეს საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ და ასევე საქართველოს კანონი გამოხატვისა და სიტყვის თავისუფლების შესახებ.“*

**დემონსტრაციის თავისუფლების დარღვევა გადამეტებული ძალის გამოყენებით**

FIDH, HRIDC, “ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი” და “კავკასიის ქალთა ქსელი” შეშფოთებულები არიან იმით, რომ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით 2007 წლის 7 ნოემბერს მოწყობილი აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ გადამეტებული ძალის გამოყენების ფაქტები არ არის გამოძიებული.

იმ დღეს სპეცრაზმმა აქციის მონაწილეები დაარბია ხელკეტების, წყლის ჭავლის და ცრემლსადენი გაზის გამყენებით. პოლიციელები უკან მიყვებოდნენ გაქცეულ მომიტინგეებს და სასტიკად ცემდნენ. საქართველოს სახალხო დამცველი, სოზარ სუბარი სასტიკად სცემეს, როდესაც ის ცდილობდა სამი პოლიციელი შეეჩერებინა რომ არ ეცემათ აქციის მონაწილე. თვითმხილველთა განცხადებით, სპეცრაზმმა გამოიყენა აკუსტიკური იარაღი მომიტინგეთა დასაშლელად.
7 ნოემბერს ჯანდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ 600 დემონსტრანტს დასჭირდა სამედიცინო დახმარება.
ზოგიერთი მათგანი ცრემლსადენი გაზით მოიწამლა; ზოგი კი საავადმყოფოში გადაიყვანეს რეზინის ხელკეტებითა და რეზინის ტყვიებით მიღებული ჭრილობების გამო. ბევრი ადამიანი დააპატიმრეს, მათ შორის, ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ხაინდრავა.
ქართველი მაღალჩინოსნების მიერ გადამეტებული ძალის გამოყენება და ობიექტური გამოძიების არ ჩატარება 2007 წლის ნოემბერში უკვე რამდენჯერმე გააკრიტიკეს, მათ შორის გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა.

*ამის გათვალისწინებით, საქართველოს ხელისუფლებამ*

- უნდა შეასრულონ გაეროს "ადამიანის უფლებათა კომიტეტის" რეკომენდაციები: *„უნდა აღმოიფხვრას პოლიციის მაღალჩინოსნების მიერ გადამეტებული ძალის გამოყენების ყველანაირი ფორმა. კერძოდ, (ხელისუფლებამ) უნდა :*
- *უზრუნველყოს იმ საჩივრების სწრაფი და ობიექტური გამოძიება, რომლებიც (7 ნოემბერს) სამართალდამცავები მოქმედებას ეხება და გამოაქვეყნოს გამოძიების შედეგები;*
- *აღძრას სისხლის სამართლის საქმეები ეჭვმიტანილების მიმართ;*
- *ჩაუტარდეს ტრეინინგები სამართალდამცავებს ძალის გადამეტებული გამოყენების კრიმინალური ხასიათის შესახებ და ძალის გამოყენების დროს პროპორციულობის პრინციპის დაცვის შესახებ. ამ თვალსაზრისით, „ადამიანის უფლებათა კომიტეტი" მონაწილე მხარის (საქართველოს) ყურადღებას ამახვილებს „გაეროს 1990 წლის ძირითად პრინციპებზე სამართალდამცავების მიერ ძალის და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ";*
- *გასცეს კომპენსაციები დარბევის მსხვერპლებზე ან მათი ოჯახის წევრებზე."*

**FIDH, HRIDC, „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი" და „კავკასიის ქალთა ქსელი" ევროკავშირს მოუწოდებს:**

- მოითხოვოს 2007 წლის ნოემბერში დემონსტრანტების დარბევის ფაქტზე დამოუკიდებელი გამოძიების დაწყება.

**დაკავების პირობები**

პენიტენციალური სისტემის რეფორმირება "ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმის" მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. უფრო მეტიც, ევროკავშირმა თავის „სწრაფი რეაქციის მექანიზმის" საშუალებით, ფინანსური წვლილი უკვე შეიტანა პენიტენციალური სისტემის რეფორმირებაში.

თუმცა, პირობები, რომლებშიც დაკავებულები იმყოფებიან, კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება. FIDH, HRIDC, „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი" და „კავკასიის ქალთა ქსელი" მეტად შეშფოთებულია იმ ფაქტით, რომ საშუალოდ ერთ პატიმარზე გათვლილი კვადრატული მეტრი ფართი ახალ ციხეში არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, მათ შორის რუსთავის ციხეშიც, რომელის მშენებლობა ევროკავშირმაც დააფინანსა. და ბოლოს, ჩვენი ორგანიზაციები შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ საქართველოს ციხეებში პატიმრებს კვლავ ცუდად ექცევიან.

2007 წლის ნოემბრის გაეროს "ადამიანის უფლებათა კომიტეტმა" თავის საბოლოო დასკვნებსა და რეკომენდაციებში *„შეშფოთება გამოთქვა მონაწილე მხარის (საქართველოს) ბევრ ციხეში მძიმე პირობების არსებობის გამო. ეს მძიმე პირობებია:*

*ერთ საკანში დასაშვებზე მეტი პატიმრის არსებობა, არასაკმარისი საკვები რაციონი და საკვების ადადამაკმაყოფილებელი ხარისხი, არაადექვატური ხელმისაწვდომობა მზის სინათლესა და სუფთა ჰაერზე, პირადი ჰიგიენის საშუალებების არასაკმარისი რაოდენობა და პატიმართა სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი, რაც გავრცელებული ინფორმაციით, პატიმრების ცუდი პირობებითაა გამოწვეული.“*
საკანში დასაშვებზე მეტი პატიმრების არსებობა არაა ხალი ქართული პენიტენციალური სისტემისთვის; თუმცა, 2006-2007 წლებში საკნებში პატირების რაოდენობამ იმატა. 2003 წლის მონაცემებთან შედარებით, როცა პატიმართა რაოდენობა 6274-ს აღწევდა, პატიმართა რაოდენობა 200 %-ით გაიზარდა და ამჟამად 19244 შეადგენს. მძიმე პირობებთან ერთად საკანში პატიმრების გადამეტებული რაოდენობის არსებობა ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება შეფასდეს, როგორც არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა, რაც პატიმრების ფიზიკურ და გონებრივ მდგომარეობაზე გამანადგურებელ გავლენას ახდენს.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 28 თებერვლის დადგენილებით, განისაზღვრება თითოეულ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმართა მაქსიმალური რაოდენობა. ეს დადგენილება ეფუძნება საქართველოს კანონს „პატიმრობის შესახებ“ ( მუხლი 33.2) და აწესებს, რომ ერთ ზრდასრულ პატიმარ მამაკაცზე საკანში მინიმუმ 2 $მ^2$ უნდა მოდიოდეს, ერთ ზრდასრულ პატიმარ ქალზე - 2,5 $მ^2$ და არასურლწლოვან პატიმარზე- 3.5 $მ^2$. ეს მინიმალური სტანდარი დაკავების პირობების ევროპულ სტანდარტს დიდად ჩამოუვარდება. უფრო მეტიც, ხშირად ქართულ ციხეებში საკანში პატიმართა რაოდენობა დასაშვებ ზღვარს აჭარბებს.
პატიმართა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მცდელობის მიუხედავად, ახლად აშენებულ ციხეებშიც პირობები ევროპულ სტანდარტს ვერ აღწევს. მაგალითად, ქუთაისის, რუსთავისა და გლდანის ახლადაშენებულ ციხეებში საშუალოდ ერთ პატიმარზე მინიმუმ 3 $მ^2$ ფართი მოდის, რაც ევრო საბჭოს „წამების აკრძალვის ევროპული კომიტეტისა“ და „ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს“ მოთხოვნებს არ შეესაბამება. ამასთან, ახალ ციხეებში არ არის პირობები პატიმარების მიერ სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად.
2007 წლის ნოემბერში გაეროს “ადამიანის უფლებათა კომიტეტი” მიესალმა *„საპატიმროებში პატიმართა მიმართ ცუდი მოპყრობის ფაქტების საგრძნობ შემცირებას“*, თუმცა სინანული გამოთქვა იმის თაობაზე, რომ *„ პოლიციელები კვლავ ცუდად ეპყრობიან ეჭვმიტანილებს, განსაკუთრებით დაკავების დროს.“*
FIDH, HRIDC, „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი“ და „კავკასიის ქალთა ქსელი“ სამწუხაროდ ადასტურებს ინფორმაციას, რომ საპატიმროებში პატიმრებისადმი ცუდი მოპყრობის ფაქტები, არც ისეთი სიხშირით როგორც ადრე, მაგრამ მაინც ხდება. მაგალითად, „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ იურისტ ნინო ანდრიაშვილს აცნობეს გლდანის # 8 ციხის პატიმრებმა, რომ ციხის თანამშრომლები მათ სისტემატურად სცემენ: პატიმრები ღამით ციხის სახურავზე აჰყავთ (სადაც პატიმრების სასეირნო ადგილია) და სცემენ.

*ამ თვალსაზრისით, საქართველოს ხელისუფლებამ გაეროს „ადამიანის უფლებათა კომიტეტის“ რეკომენდაციები უნდა გაითვალისწინოს*

- დაკავების პირობებთან დაკავშირებით და მიიღოს „სასწრაფო, მყარი, პოზიტიური და კოორიდინირებული ზომები, რათა
- ყველა პატიმარს, განურჩევლად იმისა, ისინი წინასწარ პატიმრობაში იმყოფებიან თუ სასჯელს იხდიან, უნდა გაუმჯობესდეს საპატიმრო პირობები და შესრულდეს გაეროს „წესები პატიმრებისადმი მოპყრობის მინიმალური სტანდარტების შესახებ“. კერძოდ, საკნებში პატიმართა გადამეტებული რაოდენობის პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ უნდა აღმოიფხვრას.
- შეიქმნას და განხორციელდეს პატიმრობის ალტერნატიული სახეები;“
- დაუყოვნებლივ შეწყდეს პატიმრებისადმი ცუდი მოპყრობა. კერძოდ კი,

1. საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს წამებისა და ცუდი მოპყრობის სხვა სახეების შესახებ საჩივრების სწრაფი და ობიექტური გამოძიების უზრუნველყოფა და ეჭვმიტანილების მიმართ სისხლის სამართლის საქმეების აღძვრა;
2. წამების მსხვერპლთა მიმართ შესაბამისი კომპენსაციების გაცემა;
3. „წამების საწინააღმდეგო კონვენციის დამატებითი ოქმის“ შესაბამისად, დამოუკიდებელი და კომპეტენტური ეროვნული მექანიზმების შექმნა, ისეთისა მაგალითად, როგორიცაა საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი;
4. შეიქმნას ამომწურავი სამოქმედო გეგმა მომავალში წამებისა და სხვა სახის ცუდი მოპყრობის საწინააღმდეგოდ, რომლის შექმნის დროსაც გათვალისწინებული იქნება წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა თუ დასჯის შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის რეკომენდაციები, რომელიც ამ უკანასკნელმა 2005 წელს საქართველოში ყოფნის შემდეგ გააკეთა.

*FIDH, HRIDC, „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი“ და „კავკასიის ქალთა ქსელი“ მოუწოდებს ევროკავშირს, რომ:*

- დაეხმაროს საქართველოს გაეროს “ადამიანის უფლებათა კომიტეტისა” და სპეციალური მომხსენებლის რეკომენდაციების შესრულებაში;
- უზრუნველყოს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ციხეების სარეაბილიტაციო პროექტების შესაბამისობა პატიმრობის პირობების საერთაშორისო და ევროკავშირის სტანდარტებთან;
- სისტემატურად მოახდინოს რეაგირება და დაგმოს ცუდი მოპყრობის შემთხვევები ევროკავშირის წამების სახელმძღვანელო პრინციპების საფუძველზე.

**პოლიტპატიმრები**

საქართველოში პოლიტიკური ნიშნით დაკავებულთა რაოდენობა იზრდება, ერთი მხრივ, ოპოზიციურ პატიების წევრობის საფუძველზე, მეორე მხრივ კი, სამართალდამცავების მიერ 2007 წლის ნოემბრის შემდეგ გატარებული რეპრესიების გამო.

<u>მერაბ რატიშვილი</u>

მერაბ რატიშვილის ადვოკატები ისევე, როგორც საქართველოს სახალხო დამცველი, მიიჩნევენ, რომ რატიშვილი პოლიტიკური პატიმარია. მერაბ რატიშვილს ბრალად ედება ნარკოტიკების უკანონო შეძენა და შენახვა. რატიშვილის დაკავებისთანავე პოლიციამ სასამართლოს ნებართვისა და მოწმეების გარეშე გაჩხრიკა მისი სახლი და „აღმოაჩინა“ ნარკოტიკები. რატიშვილის ადვოკატები და მისი მეუღლე ამტკიცებენ, რომ ნარკოტიკები სახლში ჩხრეკამდე არ ყოფილა. მერაბ რატიშვილმა განაცხადა, რომ პატიმრობის დროს მას საკანში პერიოდულად სტუმრობდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, რომლებიც რატიშვილს ოპოზიციური პარტიის წევრების წინააღმდეგ ჩვენებების მიცემას სთხოვდნენ. ის ასევე აცხადებს, რომ მასზე ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ზეწოლას ახდენდნენ.

მერაბ რატიშვილის სატელეფონო საუბრებს დაკავებამდე გარკვეული ხნის განმავლობაში უსმენდნენ. ბრძანება მოსმენის შესახებ ეფუძნებოდა ოპერატიულ ინფორმაციას, იმის თაობაზე, რომ უცნობმა პირებმა ვინმე მელაძეს მიყიდეს ნარკოტიკები. 26 ოქტომბერს დაკავებამდე რამდენიმე საათით ადრე, რატიშვილს ორჯერ დაურეკეს ერთი და იმავე ნომრიდან. სატელეფონო საუბარი მხოლოდ 25 წუთს გაგრძელდა. ამ საუბრის დროს უცხო ადამიანმა სიტყვა „შაქარი“ ახსენა, რომელიც სამართალდამცველებმა აღიქვეს, როგორც სინონიმი სიტყვისა „მეტადონი“. სწორედ ამ სატელეფონო საუბრის საფუძველზე დააკავეს რატიშვილი. პოლიციას არ დაუდენია, ვის ესაუბრა რატიშვილი. ერთადერთი სამხილი რატიშვილის წინააღმდეგ ეს ჩანაწერია. მას 2008 წლის ივლისში 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260 მუხლის მიხედვით (დიდი რაოდენობით ნარკოტიკების უკანონოდ შეძენა და შენახვა).

<u>გიორგი ამირანაშვილი</u>

პოლიტიკური პარტია „ერთიანი საქართველოსთვის“ ქუთაისის ოფისის ხელმძღვანელი და ირაკლი ოქრუაშვილის (საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი, ამჟამად პოლიტიკური დევნილის სტატუსით საფრანგეთში იმყოფება) მხარდამჭერი 2007 წლის ნოემბრამდე მცირე ხნით დააკავეს ქუთაისში. 25 ოქტომბრის დილას მის სახლში შევიდა „კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი“. დეპარტამენტის წარმომადგენლებს ეკეთათ ნიღბები. მათ ჩაამტვრიეს მინები, შეანგრიეს კარი და ისე შევიდნენ სახლში. კუდ-ის წარმომადგენლებმა ამირანაშვილი სასამართლო ნებართვის გარეშე დააპატიმრეს. მოგვიანებით მას ბრალად წაუყენეს უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრობა. ამირანაშვილი აქამდე არ გაუსამართლებიათ და ის კვლავ ქუთაისის # 2 ციხის წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფება.

ამირანაშვილი ეჭვმიტანილია 2007 წლის თებერვალში კრიმინალური დაჯგუფების წევრთან და რუსთავის # 1 ციხის პატიმართან კახა ცანავასთან სატელეფონო საუბარში.

ამირანაშვილი ამ სატელეფონო საუბრიდან მხოლოდ 8 თვის შემდეგ დააკავეს. თუმცა, გამოძიება ობიექტურად რომ ჩატარებულიყო, დაადგენდა, რომ ამირანაშვილი კახა ცანავას კი არა კახა ჩოგოვაძეს ესაუბრებოდა. ამირანაშვილის აზრით, იარაღი, რომელიც პოლიციამ მისი სახლის ჩხრეკისას ამოიღო ამავე ჩხრეკის დროს ჩაუდო მას თავად. ამირანაშვილს ბრალი წაეყენა სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე მუხლის I ნაწილის (უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრობა, ითვალისწინებს 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას) და 236-ე მუხლის I ნაწილის (ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარება, ითვალისწინებს 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას) შესაბამისად. მისი სასამართლო პროცესი 2008 წლის შემოდგომაზე უნდა შედგეს.

<u>სხვა საჯარო მოხელეები</u>

ყოფილი საჯარო მოხელეები სისხლის სამართლოს კოდექსის 180-ე ( ფინანსური დანაშაული), 181-ე (გამოძალვა), 182-ე (სახელმწიფო ბიუჯეტის მითვისება და გაფლანგვა) და 332-ე (უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამო დააპატიმრეს. ჩვენი ორგანიზაციები შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ზოგიერთი მოხელე 2007 წლის ნოემბრის თვეში დააპატიმრეს. ეს მაშინ, როცა მათ თანამდებობებიდან გადადგომის შემდეგ თვე და, ზოგ შემთხვევაში, წელიც კი იყო გასული. მაგალითად, დიმიტრი გოდაბრელიძე 2007 წლის 27 ნოემბერს დააპატიმრეს 2003 წელს მარნეულის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტში მუშაობისას ჩადენილი უკანონო ქმედებების გამო; მარლენ ნადირაძე 20007 წლის 6 ნოემბერს დააპატიმრეს მისი შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილედ მუშაობისას ქრთამის აღებისა და შიდა ქართლის რეგიონული მაღაზიიდან 2 ტელევიზორის მოპარვის გამო. დავით ქანთარია 2007 წლის 23 აგვისტოს დააპატიმრეს 2002-2003 წლებში ქალაქ ფოთის მერობის დროს ჩადენილი უკანონო ქმედებების გამო.

7 ნოემბრის საპროტესტო აქციის ზოგიერთი მონაწილეც დააპატიმრეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძოდ კი 187-ე (სხვისი ქონების დაზიანება ან განადგურება), 353-ე ( სამართალდამცავებისთვის წინააღმდეგობის გაწევა, მუქარა ან ძალადობა სამართალდამცავებისთვის და საჯარო მოხელეებისთვის) დარღვევისათვის. მაგალითად, ზაალ კოჩალიძე 2007 წლის 8 ნოემბერს დააპატიმრეს, ლევან ბარაბაძე 10 ნოემბერს, ლევან მინაშვილი 9 ნოემბერს, ილია წურწუმია 13 ნოემბერს, როსტომ ონიანი 9 ნოემბერს. 7 ნოემბრის დემონსტრაციის მონაწილეებს კერძოდ კი, დავით მაღლაკელიძეს, ლაშა სირბილაძეს, ილია ქოიავას, ზვიად ხარგელიას, რომლებმაც პოლიციას წინააღმდეგობა გაუწიეს, ბრალი წაუყენეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის მიხედვით (საზოგადოებრივი არეულობის მოწყობა). ეს მაშინ, როცა არც ერთი პოლიციელი არ არ დაუკავებიათ მშვიდობიანი დემოსნტრანტების დაშლის დროს გაუმართლებელი ძალის გამოყენების გამო.

*FIDH, HRIDC, „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი“ და „კავკასიის ქალთა ქსელი“ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, რომ:*

- გაათავისუფლოს პოლიტიკური მოტივით დაკავებული პირები ან სამართლიანი ბრალდებები წაუყენოს მათ და საქართველოს მიერ რატიფიცირებული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად, უზრუნველყოს სამართლიანი სასამართლოს უფლება.

*ჩვენი ორგანიზაციები მოუწოდებენ ევროკავშირს, რომ*

- ზემოაღნიშნული საკითხი განიხილოს თავის ქართველ კოლეგებთან ერთად და აიძულოს საქართველოს მთავრობა, შეწყვიტოს პოლიტიკური აქტივისტების შევიწრივება.

**ქალთა უფლებები/ოჯახური ძალადობა**

FIDH და მისი წევრი და პარტნიორი ორგანიზაციები საკმაოდ შეშფოთებულნი არიან ქალთა უფლებებსა და ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით საქართველოში არსებული მდგომარეობის გამო. ოჯახური ძალადობა საკმაოდ ფართოდ გავრცელებული ფენომენია საქართველოში. ამ თემაზე იშვიათად საუბრობენ სახელწიფო დონეზე. ჩვენი ორგანიზაციები მკაცრად აკრიტიკებენ იმას, რომ საქართველოს მთავრობა საერთაშორისო ორგანიზაციებისგან ქალთა უფლებების შესახებ კონსულტაციების მიღებით არ არის დაინტერესებული; ხოლო როცა ქალები და ქალთა ორგანიზაციები იძლევიან რეკომენდაციებს, მთავრობა მათ არ ითვალისწინებს. ჩვენ უკმაყოფილებას გამოვთქვამთ ასევე იმის გამო, რომ ქალთა უფლებების მნიშვნელოვან თემას საკმარისი ყურადღება არ ეთმობა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებში. კერძოდ კი, შეშფოთებას გამოვთქვამთ იმის გამო, რომ „ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში არ არსებობს სერიოზული დოკუმენტი ქალთა უფლებებთან დაკავშირებით.

<u>დისკრიმინაცია შრომის ბაზარზე</u>

2006 წელს ახალი შრომის კოდექსის განხილვის დროს, ქართველ ჩინოვნიკებს არ გამოუთქვავთ სურვილი ეთანამშრომლად ქალთა ორგანიზაციებთან საქართველოს კანონმდებლობაში, კერძოდ კი, შრომის კოდექსში არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით და ასევე არ გაითვალისწინეს ქალთა ორგანიზაციების კოალიციის რეკომედნაციები. ახალი შრომის კოდექსის მიღების შემდეგ, გაეროს „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა“ გამოთქვა *„ შეშფოთება ქალებზე ახალი შრომის კოდექსის უარყოფითი ზემოქმედების შესახებ. ახალი კოდექსი საქართველოში დასაქმებასთან დაკავშირებულ საკითხებს აიოლებს, მაგრამ არ შეიცავს დებულებებს ერთი და იმავე ღირებულების სამუშაოს თანაბარი ანაზღაურებისა და სამუშაოზე სექსუალური ძალადობის შესახებ.“*

უფრო ზოგადად კი, გაეროს „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა“ გამოთქვა შეშფოთება *„შრომის ბაზარზე არსებული სეგრეგაციისა და ანაზღაურებაში სხვაობის გამო“.* დეკრეტულ შვებულებაში გასული ქალბატონების სამსახურიდან გათავისუფლების ან სამსახურში დეკრეტული შვებულების დასრულების შემდეგ ვერ დაბრუნების რამდენიმე ფაქტი ადასტურებს ქალთა უფლებების დარღვევის შემაშფოთებელ ტენდენციას.

<u>დისკრიმინაცია საჯარო და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისას</u>

მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელ ორგანიზაციებში ისევე, როგორც სამოქალაქო სექტორში აქტიურ ქალთა რაოდენობა და მათი პროფესიონალიზმის დონე საკმაოდ მაღალია, ქალები საკმაოდ მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილნი სახელმწიფოს არჩევით სტრუქტურებში. ის რომ ქალთა რაოდენობა საკმაოდ იზრდება სამოქალაქო სექტორში გვაფიქრებინებს, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში ქალებს ხელოვნურად ექმნებათ ბარიერები და ისინი ვეღარ ერთვებიან ამ სტურქტურების მუშაობაში მამაკაცებთან თანაბარ დონეზე.

გაეროს „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი“ გამოხატავს *„შეშფოთებას იმის გამო, რომ ქალების მხოლოდ მცირე რაოდენობა მონაწილეობს საჯარო და პოლიტიკურ ცხოვრებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. კერძოდ კი, ცოტა ქალია წარმოდგებული დიპლომატიურ სფეროში, საქართველოს ცენტრალური მთავრობში, ადგილობრივ ხელისუფლებასა და პარლამენტში.“*

<u>ქალთა მიმართ ძალადობა:</u>

2008 წლის აგვისტოს კრიზისის დროს ქალთა მიმართ ძალადობის ბევრი ფაქტი მოხდა. 2008 წლის აგვისტოს ომმა ქალთა უფლებებთან დაკავშირებული პრობლემების ახალი წყება წარმოშვა. იძულებით ადგილნაცვალ ქალბატონებს ჯანმრთელობასთან, დაავადებებთან, სამედიცინო დახმარების არარსებობასა და სუფთა წყალზე თუ სანიტარული პირობებზე ხელმიუწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემები აწუხებდათ.

„კავკასიის ქალთა ქსელმა“ მოიპოვა 15 ქალის ჩვენება ომის დროს გაუპატიურების და გაუპატიურების მცდელობების შესახებ. ახალი ძალადობის თავიდან ასაცილებლად და ადრე მომხრადი ძალადობის ფაქტების გამოსაძიებლად საჭირო უსაფრთხო გარემოს არარსებობა კვლავ ძირითად შემაფერხებლად რჩება ბუფერულ და ოკუპირებულ ზონებში დაბრუნებისთვის. სექსუალური ძალადობის შესახებ ჩვენებების მოპოვებას შესაძლოა წლები დასჭირდებეს. ეს იმიტომ, რომ ძალადობის მსხვერპლნი პოსტტრავმატულ მდგომარეობაში იმყოფებიან, თანაც, ასეთი სახის დანაშაულზე საუბარს ტაბუ ადევს. საქართველოში 1990-იანი წლების დასაწყისში მომხდარმა შეიარაღებულმა კონფლიქტმა აჩვენა, რომ 15 წელი შეიძლება გავიდეს, სანამ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ძალადობის შესახებ განაცხადებს, კომპეტენტურ პირებს იურიდიული დახმარებისთვის მიმართავს და დამნაშავეების

დასჯას მოითხოვს. სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა ფსიქოლოგიური, სამედიცინო ან იურიდიული დახმარებისთვის საქართველოს მთავრობას არანაირი სპეციალური ზომა ჯერ ჯერობით არ მიუღია.

*ქართველ ჩინოვნიკებს მივუწოდებთ:*

- ჩაერთონ მუდმივ, კონსტრუქციულ დიალოგში ქალთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებთან;
- ქალთა მიმართ შრომის ბაზარზე არსებული დისკრიმინაციის წინააღმდეგ გადადგან ქმედითი ნაბიჯები და შეასრულონ გაეროს „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის“ რეკომენდაციები კერძოდ, კი:
- ყოველგვარი ღონე იხმარონ, რათა ყველა დასაქმების პროგრამაში ორივე სქესის უფლებები თანაბრად იყოს დაცული და და გაზარდონ ქალებისათვის ახალ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა;
- აღმოფხვრას გენდერული სეგრეგაცია, როგორც ვერტიკალურ ისევე ჰორიზონტალურ დონეზე; მიიღოს შესაბამისი ზომები ქალთა და მამაკაცთა ანაზღაურებას შორის არსებული სხვაობის შესამცირებელად და საერთოდ აღმოსაფხვრელად, რაც საჯარო სექტორში სამსახურების შეფასების სტრუქტურის მიხედვით უნდა განხორციელდეს და მოხდეს ხელფასები გაზრდა იმ სამსახურებში, სადაც ქალები დომინირებენ;
- შემოიტანოს დადგენილება თანაბი ღირებულების სამუშაოს თანაბარი ანაზღაურების შესახებ და „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის“ ზოგადი რეკომენდაციის შესაბამისად სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ;
- გაანალიზონ ქალებზე ახალი შრომის კოდექსის გავლენა და მასში საჭირო ცვლილებები შეიტანონ; ამ ანალიზზე და შესაბამისი ქმედებებზე ინფორმაცია წარმოადგინონ მომავალ ანგარიშში.
- გადაჭრან საჯარო და პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა არასაკმარისი რაოდენობის პრობლემა „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის“ რეკომედაციის განხორციელებით, კერძოდ:

- მიიღონ სპეციალური ზომები კონვენციის მე-4 მუხლის I პარაგრაფისა და კომიტეტის # 23 და 25 ზოგადი რეკომენდაციების შესაბამისად;
- დააჩქაროს ქალთა სრული და თანაბარი მონაწილეობა არჩეულ და დანიშნულ, მათ შორის, საერთაშორისო სტრუქტურებში. კერძოდ, უნდა მოხდეს სტანდარტების, რიგი მიზნებისა და გეგმების დასახვა, ტრეინინგების

ჩატარება ლიდერობისა და მოლაპარაკებების უნარების განსავითარებლად მოქმედ და მომავალი ქალ ლიდერებში;

- ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების ჩატარება საჯარო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში და გადაწყვეტილების მიღების დროს ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ;

- „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის“ რეკომენდაციების შესრულება ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით:

1. პრიორიტეტის მინიჭება ოჯახური ძალადობის აღმოფხვრის, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების კანონისთვის;

2. ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ყველა ქალის, მათ შორის სოფელში მცხოვრები ქალების, უზრუნველყოფა დაცვის მყისიერი საშუალებებით, უსაფრთხო თავშესაფრებითა და იურიდიული დახმარებით. კომიტეტი მოუწოდებს მონაწილე მხარეს (საქართველოს), რომ უზრუნველყოს საჯარო მოხელეების, განსაკუთრების სამართალდამცავი ორგანოების, ინფორმირება ქალთა უფლებების შესახებ; უზრუნველყოს, რომ ქალებმა მიიღონ საჭირო სამედიცინო დახმარება და სოც მუშაკებმა იცოდნენ ქალთა უფლებებთან დაკავშირებული ყველა იურიდიული დებულება და ასევე იცოდნენ ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმა და შეძლონ ძალადობის ფორმებზე შესაბამისად რეაგირება.

3. გამოიკვლიოს ოჯახური ძალადობის მიზეზები, შედეგები და ოჯახური ძალადობის შემთხვევების სიხშირე, რაც საფუძვლად დაედება უნდა დაედოს ყოვლისმომცველ გამოძიებას ამ საკითხთან დაკავშირებით; მონაწილე მხარემ თავის მომავალ პერიოდულ ანგარიშში უნდა შეიტანოს კვლევის შედეგები.

4. უზრუნველყოს 2008 წლის აგვისტოში გაუპატიურების დაუდასტურებელი ფაქტების ჯეროვანი და დამოუკიდებელი გამოძიება;

5. დაეხმაროს სახელმწიფო ორგანოებს და დამოუკიდებელ ორგანიზაციებს, რომ ისინი თავის მხრივ დაეხმარონ ომის დროს სექსუალური ძალადობის მსხვერპლებს;

6. შეიტანოს ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმის განახლებულ ვარიანტში პარაგრაფი ქალთა უფლებების შესახებ.

***FIDH, HRIDC, „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი“ და „კავკასიის ქალთა ქსელი“ მოუწოდებს ევროკავშირს, რომ:***

- შეიტანოს ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმის განახლებულ ვარიანტში ქალთა უფლებების შესახებ პარაგრაფი.

- ამ საკითხს ევროკავშირი-საქართველოს სამართლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების ქვეკომიტეტის დღის წესრიგში განსაკუთრებული ადგილი დაეთმოს.
- საქართველოს მთავრობასთან პოლიტიკური დიალოგის ჩარჩოში „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის“ რეკომენდაციების აღსრულება მოითხოვოს.
- დაეხმაროს საქართველოს მთავრობას ამ რეკომენდაციების შესრულებაში.